დრ. ალეკო ალავა

ხალხმუხლიება, ანარქია და ცვლილება

INSTITUTI VEERI BASCHUGI

بسم الله الرحمن الرحيم

დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა:1587
ჯიბის წიგნები:134

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი muslim-georgia

ბეჭდვითი მონიტორინგი
დოქ. ფატიჰ ქურთი

კოორდინატორი
ლოქმან არსლანი

გამოცემისთვის მოამზადა
უღურ ალთინთოფი

ნაწარმოების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:
20.02.2019/20

ISBN: 978-605-7519-43-6
2019-06-Y-0003-1587
სერთიფიკატის ნო: 12930
1. გამოცემა, ანკარა 2019

გამოცემა
Başak Mat. Tanı. Hiz. İth. İhr. Tic. Ltd. Şti.
+90 312 397 16 17

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია
რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო
უცხო ენასა და დიალექტებზე საგამომცემლო სამმართველო

Dini Yayınlar Genel Müdürlüğü
Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı
Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı
No:147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE
ტელ: +90 312 295 72 81
ფაქსი: +90 312 284 72 88
e-posta: yabancidiller@diyanet.gov.tr

სათნმუნოება, ახალქალაქი და ცვეროლი

დრ. იაშარ ილიევ

თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

სარჩევი
რწმენის პირობები

წინასიტყვაობა • 5

შესავალი • 8

ანარქია და ტერორი • 14

რელიგიის, ტერორის და ძალადობის ურთიერთკავშირი • 15

ანარქია და ტერორი ღვთიურ გზავნილებს არ შეესაბამება, რადგან ღვთიურ გზავნილებში შემწყნარებლობაა მთავარი. • 23

წინასიტყვაობა

ადამიანი საზოგადოების ნაწილია. ერთიან სივრცეში მცხოვრები ადამიანები ვალდებულნი არიან იცოდნენ ინდივიდის უფლებება- მოვალეობები და პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოქმედებდნენ, რათა ადამიანთა შორის მშვიდობა და ბედნიერება იქნას უზრუნველყოფილი. პასუხისმგებლობის შეგნება პიროვნებამ, უპირველეს ყოვლისა საკუთარით უნდა დაიწყოს. პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა ვისაც გააჩნია, მან ოჯახისა და საზოგადოების წინაშე არსებული პასუხისმგებლობაც იცის და დაკისრებულ მოვალეობასაც ასრულებს.

„ნუთუ ეგონა ადამიანს, რომ უპასუხისმგებლოდ იქნებოდა მიტოვებული?“

სურა ყიამეთის 36-ე აიათი მიგვითითებს, რომ ადამიანი პასუხისმგებლობის მატარებელი არსებაა.

„მერე იმ დღეს,აუცილებლად მოგეკითხებათ, რაც გებოძათ!“

სურა თექასურის მე-8 აიათი კი გვიჩვენებს, რომ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა გონება და სხვა მრავალი წყალობა ებოძა და ამის საპასუხოდ, გარკვეული ვალდებულებები დაეკისრა, რომელიც შეძლებიდაგვარად უნდა შეასრულოს.

საზოგადოების სიმშვიდეს, უმთავრესად გაურკვევლობა არღვევს, ყველას გვეკისრე-

ბა პასუხისმგებლობა, რათა ადამიანის ღირსებისთვის შესაფერისი მომავალი შევიქმნათ. ცხადია, რომ დღეს ჩვენს საზოგადოებაში მრავალი გაურკვეველი საკითხი არსებობს.

დღეისათვის მსოფლიო საზოგადოების მომავალს მრავალი საფრთხე ემუქრება. ესენია: შიმშილი, სიღარიბე, გარემოს დაბინძურება, ბუნებრივი კატასტროფები, სოციალური უთანასწორობა, არათანაბარი პირობები, ზნეობრივი დაცემულობა, სულიერი სიმდაბლე, მატერიალური მიდრეკილებები, ურწმუნოება, ბოროტება, არასაკმარისად ჯანსაღი გარემო, გაურკვევლობა განათლებისა და სამართლიანობის სფეროში, ისტორიული და კულტურული ღირებულებების განადგურება და სხვა. გარდა ამისა, ამ ყველაფერს ემატება ადამიანებს შორის დიალოგის. ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის შემცირება, განსხვავებული აზრის დევნა და ტერორი.

ყველა ეს საკითხი არა კონკრეტული რეგიონის ან ერისთვისაა დამახასიათებელი, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეობა რაღაც ფორმით, გაურკვევლობაშია ჩაფლული. ამ საკითხების მოსაგვარევლად კი ხალხებს შორის ურთიერთობის გაღრმავება და საერთაშორისო მნიშვნელობის ქმედითი მიღწევების ძიებაა საჭირო.

სინამდვილეში, უმთავრესი არის ის, რომ ჩვენს ხელთ არსებულ ღირებულებებს ვერ

ვამჩნევთ და შესაბამისად ამ ღირებულებებით არ ვცხოვრობთ. გამომდინარე აქედან, ჯერ ეს ღირებულებები უნდა აღმოვაჩინოთ და ყოველდღიურობაში დავნერგოთ. უეჭველია, რომ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება ისლამია, რომელიც რამდენიმე ათეული საუკუნის განმავლობაში, კაცობრიობას გზას უნათებს.

დღეს, ადამიანის შესაძლებლობების განვითარების მიზნით შემუშავებული, ფსიქოთერაპიის მეთოდების ქმედითუნარიანობისათვის, ეკოლოგიური პრობლემების, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა მსგავსი გამოწვევების წინააღმდეგ რელიგიის მნიშვნელობა აშკარაა. ისლამს გააჩნია საიმისო შესაძლებლობა, რომ თანამედროვე გამოწვევებს უპასუხოს. მას აქვს საიმისო დინამიკა, რათა თანამედროვე მსოფლიოს ახალი ფორმულირებები შესთავაზოს.

ამ თვალსაზრისით ჩვენი სარწმუნოების მიერ გადმოცემული ბრძანებები და რჩევები, რომლებიც ურთიერთდახმარებისა და ტოლერანტობის პრინციპების დამკვიდრებას უწყობს ხელს, ყურად უნდა ვიღოთ და ადამიანებს შორის არსებული უფლება-მოვალეობები კარგად გავიაზროთ და ცხოვრების ჭირი და ლხინი ერთად ვზიდოთ. ჩვენი ცხოვრების სტილი სოციალური ურთიერთთანადგომა უნდა იყოს და ბედნიერი მომავლისთვის ყველამ ერთად ვიბრძოლოთ.

შესავალი

დედამიწაზე, სადაც ბუნებრივი რესურსების ეფექტური გამოყენება ხდება, მაგრამ ეკონომიკური რესურსები არათანაბრად ნაწილდება და კეთილდღეობის ხვედრითი წილის გადანაწილება სამართლიანობის შეგრძნებას არყევს, ამიტომ კაცობრიობა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ყველაზე მეტად, იქნება, სწორედ ახლა საჭიროებს მშვიდობას. ადამიანს კი ქიშპობა და ურთიერთშუღლი თითქოს გენებში ჩაუსახლდა და ამ, ტექნოლოგიის შედეგად დაპატარავებულ სამყაროში მოექცა

ომები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა...

ანარქია და ტერორი...

უსამართლოდ დაღუპული ადამიანები...

ჩამქრალი ოჯახები...

ობლად დარჩენილი უმწეო ბავშვები...

ტერორს შეწირული ქალები და მოხუცები...

11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ კულტურული და რელიგიური ხასიათს საკითხები წამოვიდა წინა პლანზე. მანამდე კი აქტუალური იყო ისეთი თემები, როგორი-

ცაა ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა, გარემოს დაბინძურება, იძულებით გადაადგილებულთა პრობლემები, სიღარიბე, შიმშილი, შიდსი და სხვა, ამ თავდასხმის შემდეგ ზოგადად ისლამზე და კერძოდ მუსლიმებზე გამახვილდა ყურადღება და ისლამსა და ტერორიზმს შორის კავშირის არსებობაზე დაიწყეს საუბარი. ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ მუსლიმებს შორის რადიკალიზმი უფრო ფეხმოკიდებული მოვლენაა. 11 სექტემბრის შემდეგ პროცესში მყოფი და ისედაც ფართოდ გავრცელებული ისლამოფობია ყველაზე უფრო მასშტაბური გახდა. ხოლო მუსლიმების წინააღმდეგ წარმოებული ზეწოლა, მათი დადანაშაულება, ჩამოყალიბებული უარყოფითი აზრი და შიში ადამიანთა ცნობიერებაში განთავსდა.

ჩვენს ეპოქაში ჯერ კიდევ საკმარისად არ არის გაგებული თუ რა როლის თამაში შეუძლია ჩვენთვის მემკვიდრეობით მიღებულ რელიგიურ ღირებულებებს იმ უზარმაზარი პრობლემების გადაწყვეტაში, რაც კაცობრიობას ემუქრება. ღვთისმოსაობის პიროვნული გაგება და ეჭვები, ან ჩვენს მეხსიერებაში არსებული ცუდი მაგალითები და ბოროტად გამოყენების ფაქტები, იდეოლოგიური და პოლიტიკური პროექტების, სარწმუნოებასთან ინტერესების და მიმართულების თანხვედრა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამოუკიდებელ აზროვნებას და სოციალურ თანხმობას გარკვეულწილად ხელს უშლის. არადა მრავალგზისაა აღნიშნული, რომ ამ პრობლემების წინაშე კაცობრიობა და სარწმუნოება ერთად დგას.

რელიგია მიზნად ისახავს ადამიანის როგორც ამქვეყნიურ, ისე იმქვეყნიურ გადარჩენას, გამჩენის შეცნობას, გარემოსთან მშვიდობიან თანაცხოვრებას და ზოგადად ადამიანის ბედნიერების უზრუნველყოფას. ამ მიზნის განხორციელებისათვის კი ადამიანების მხოლოდ რწმენისა და ღვთისმსახურებისკენ წარმართვა არ არის საკმარისი. რელიგია ამასთან ერთად გვასწავლის, რომ სამართლიანობა, პატიოსნება, სხვათა მიმართ პატივისცემა, ურთიერთდახმარება, ყოველგვარი ბოროტებისგან შორს დგომა, რა-

საც საკუთარი თავისთვის ვისურვებთ იმის მორწმუნე ძმისთვისაც სურვილი, მოყვასის სიყვარული და მსგავსი ძირითადი სათნოების გამომხატველი თვისებები წინა პლანზე უნდა იქნას წამოწეული. გარდა ამისა, რელიგიის მიზანია, აგრეთვე, ადამიანის ბუნებაში არსებული უარყოფითი მიდრეკილებების, როგორებიცაა სისხლისღვრა, ეგოიზმი, უსამართლობა, ძალმომრეობა და სხვა, განეიტრალება და ადამიანის უფრო კეთილშობილ არსებად გადაქცევა.

ადამიანთა ცნობიერებასა და ცხოვრებაში წარმოშობილი ძალადობის შემცველი ქცევებისთვის რელიგიური გამართლების ძიების მცდელობა, მიმდინარე უარყოფითი მოვლენების რელიგიასთან დაკავშრება, ზედმეტი განზოგადება და მსგავსი მიდგომები არამარტო მცდარია, არამედ არაგონივრულიცაა.

სინამდვილე ესაა, რომ ისლამი, რომლის საფუძველიც მშვიდობასა და სანდოობაზეა დამყარებილი და სხვა რელიგიები, მიუხედავად მათ შორის გარკვეული სხვადასხვაობისა, კაცობრიობის გადარჩენას და ბედნიერებას და ამასთანავე ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ სიმშვიდეს ისახავს მიზნად. ყველა შუამავალი ადამიანებს მშვიდობისა და ძმობისაკენ, სამართლინობისა და პატიოსნებისკენ მოუწოდებდნენ. სარწმუნო-

ების განმარტებაც ხომ ამასვე გამოხატავს:

„სარწმუნოება არის ღვთიური კანონების კრებული, რომელიც ადამიანებს ამქვეყნად მშვიდობას, ხოლო საიქიოში გადარჩენას დაუმკვიდრებს“.

როგორც განმარტებიდან ჩანს სარწმუნოების ინტერესის საგანი ადამიანის ამქვეყნიური ბედნიერება და იმქვეყნიური ცხონებაა, ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით, უნივერსალურ სარწმუნოებებში გადმოცემულ ძირითად გზავნილებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა მშვიდობა, ძმობა, შემწყნარებლობა, ურთერთპატივისცემა და სხვა. ღმერთი დიდად მოწყალე და მწყალობელია. ამიტომ შემწყნარებლობას და მიტევებას, სარწმუნოებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს.

წარსულშიც და ახლაც არის მრავალი უარყოფითი მოვლენა, რომელიც რელიგიური განსხვავებულობით საზრდოობს, მაგრამ ეს ყველაფერი მომდინარეობს არა რელიგიის არსისგან, არამედ იმ ადამიანებისგან, რომლებიც ამ რელიგიას წარმოადგენენ. როგორც წარსულში, ისე ახლაც კაცობრიობის ბედნიერებისთვის დადგენილი ღვთიური პრინციპები უხეშად ირღვევა და ამის მიზეზი პოლიტიკური და ეკომონიკური ფაქტორებია. მსოფლიოს მრა-

ვალ კუთხეში პოლიტიკური და ეკონომიკური სარგებლის გულისთვის მშვიდობა ირღვევა და კონფლიქტის კერა ჩნდება. როცა მდგომარეობა ასეთია, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, რწმენის თავისუფლება, მშვიდობიანი თანაცხოვრება, სხვათა მიმართ პატივისცემა, დიალოგი და შემწყნარებლობა ის ღირებულებებია, რომლებიც უნდა დავიცვათ და ამ თვალსაზრისით, მშვიდობის წინააღმდეგ მებრძოლ, ადამიანის ძირითადი უფლებების დამრღვევ და ძალადობისა და ტერორის მთესველი ადამიანების წინააღმდეგ უმოქმედოდ ყოფნა სწორი მიდგომა არ არის.

გამომდინარე აქედან, საჭიროა ჩვენ ყველამ დავირაზმოთ და მთელი პასუხისმგებლობის შეგრძნებით შევეცადოთ წინ აღვუ-

დგეთ ტერორს და ძალმომრეობას, რომლებიც მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს გვინადგურებს და ამას ურთიერთგაგების, ჯანსაღი კომუნიკაციის, დიალოგის, შემწყნარებლობის და მსგავსი მიმართლებების ხელშეწყობის წყალობით მივაღწევთ.

ანარქია და ტერორი

ტერორი შიშის გავრცელებას, თავდასხმას, მკვლელობას, დაჭრას, მუქარის გზით სიცოცხლის, ქონებისა და მსგავსი ღირებულებების საფრთხეში ჩაგდებას, უსაფრთხოების მოსპობას ნიშნავს. ანარქია კი საზოგადოებრივი წესრიგის სრულ მოშლას და ქაოსის დამკვიდრებას გულისხმობს.

ანარქიის დროს კანონის მოქმედება და მისი უზენაესობა უქმდება. არ არის ავტორიტეტი. მოქმედებები კანონიერ ფარგლებს სცილდება და საზოგადოებაში სრული არეულობა ისადგურებს.

ანარქია არის ინდივიდისა და საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დამაზიანებელი მოვლენა, რომელიც უიმედობას და სასოწარკვეთას თესავს. ის ყოველგვარი სილამაზის წინააღმდეგია. ის ებრძვის ყოველგვარ ღირებულებებს და სპობს ეკონომიკას. ანარქიის დროს მნიშვნელოვნად

ირყევა ინდივიდუალური, საზოგადოებრივი და სოციალური ჰარმონია. ეს არის უბედურება, რომლის დროსაც ნებისმიერი ფენის ადამიანი უკიდურესად ზარალდება.

ტერორის წარმოქმნას საფუძველს ანარქია უმზადებს. ამდენად ანარქია განსხვავებულია ტერორისგან, მაგრამ მათ შორის მჭიდრო კავშირია.

რელიგიის, ტერორის და ძალადობის უფლებრივი-კანონიერი

რელიგიის მიხედვით ადამიანისა და მისი ძირითადი ღირებულებების დაცვა, რელიგიის უპირველესი მიზანია. ამ თვალსაზრისით ადამიანის სიცოცხლის უფლება, ქონება, მორალი, ოჯახი და მსგავსი ღირებულებები ყველა რელიგიურ სისტემაში ხელშეუხებელია. ეს უფლებები ისლამის ლიტერატურაში „სარწმუნოების აუცილებლობად“ არის წოდებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ფუნდამენტური უფლებები სარწმუნოების უალტერნატივო ღირებულებებია.

დედამიწაზე საცხოვრებლად ხელსაყრელი პირობების შექმნა, სააქაოშიც და საიქიოშიც სიმშვიდის და ბედნიერების მოპოვება, სარწმუნოების ძირითად მიზნებს შორის, ერთ-ერთია. ამიტომაა, რომ ადამიანის

და მისი უფლებების წინააღმდეგ წარმოებული ნებისმიერი ქმედების მიმართ გარკვეული პრევენციული ზომებია მიღებული.

დღევანდელი გადასახედიდან, როცა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უხეშ დარღვევის უამრავი მაგალითების შესახებ ვგებულობთ, უფრო უკეთ ვხვდებით, თუ რატომ მიანიჭა ჩვენმა სარწმუნოებამ ამ უფლებებს ესოდენ დიდი მნიშვნელობა და რატომაა ამ უფლებების დაცვა ერთ-ერთი მთავარი მიზანი.

მოკლედ რომ ვთქვათ, სარწმუნოება და მისი მაცოცხლებელი გზავნილები ინდივიდებსა და საზოგადოებას სიცოცხლეს სძენს. ანარქია და ტერორი კი სიკვდილს, ნგრევას, უბედურებას და მსგავს მოვლენებს იწვევს და ეს ყველაფერი დედამიწას სიცოცხლისათვის არახელსაყრელ პლანეტად გადააქცევს. ანარქია და ტერორი ძალისხმევას არ იშურებს, რომ გავრცელდეს და საბოლოოდ დამკვიდრდეს დედამიწაზე.

დღეს, როცა ანარქიის და ტერორის მსგავსი არაადამიანური ქმედებები მთელი თავისი საშინელებებით სახეზეა და უფრო მეტიც, ზოგიერთი ტერორისტული ქმედების გარკვეულ სიწმინდეზე დამყარებას ცდილობენ, უნდა გავიგოთ, რომ მოვიდა დრო როგორც ადამიანებმა საკუთარი თავის განკითხვა მოვაწყოთ და ისიც უნდა გავიაზროთ, რომ ეს დრო მიდის.

მსოფლიოს ბევრ ადგილას, სისხლისღვრა, ცრემლი, წამება, ძალადობა, ტერორი, იმდენად ყოველდღიურობად იქცა, რომ ეს მდგომარეობა ლამისაა ცხოვრებისეულ მოლენად მივიჩნიოთ .

კაცობრიობას საუკუნოვანი კულტურის მემკვიდრეობა და გამოცდილება გააჩნია. ეს შეუფერებელი სურათი, რომელიც დღევანდელ სინამდვილეს ასახავს კაცობრიობისათვის შეუფერებელია. დახოცილი ბავშვები, წამებისთვის განწირული მშობლები, ცრემლი და უბედურება ყველას შეეხება და ყველაზე უარყოფითად მოქმედებს. მნიშვნელობა არ აქვს მორწმუნე იქნება თუ ურწმუნო, რაიმე სიწმინდის სჯერა თუ არა. უეჭველია, რომ ამ სავალალო სურათის ავტორი ტერორიზმის მხარდამჭერებთან ერთად ის უპასუხისმგებლობა, უგულისყურობა, განხეთქილება და ურთიერთთანაგრძნობის მოშლაა, რომელიც ზოგადად გვახასიათებს. მნიშვნელობა არ აქვს ვინ იქნება ტერორიზმის ობიექტი. ის ყველამ უნდა დაგმოს.

სინამდვილეში ძალადობა, ბოროტება, ანარქია და ტერორი გარკვეული თვალსაზრისით წარსულიდან მომდინარე პროცესია. „სხვისი“ არსებობის აუტანლობა კაცობრიობის დაარსებიდან მოდის. პირველი ადამიანის - წმ. ადამის შვილებს შორის მომხდარი ცნობილი ამბავი, ძალადობის და მკვ-

ლელობის ხანდაზმულობის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის. ამ მოვლენასთან დაკავშრებით ყურანში გადმოცემულა შემდეგი:

1 „და ჭეშმარიტად, წაუკითხე შენ მაგათ ამბავი ადამის ორი ვაჟისა. ოდესღაც, მსხვერპლი შეწირეს ორივემ და შეწყნარებულ იქმნა ერთისაგან და არ იქნა შეწყნარებული მეორისაგან, და თქვა მან: „მე მოგკლავ შენ უსათუოდ!“ უპასუხა: „ალლაჰი მხოლოდ ღვთისმოშიშთაგან შეიწყნარებს.

2 ვფიცავ, თუ შენ მოსაკლავად აღმართავ ხელს ჩემზე, მე არ აღვმართავ ხელს შენს მოსაკლავად. უეჭველად, მე მეშინია ალლაჰისა, სამყაროთა ღმერთის,“ (მაიდე 27-28)

ამ ორ აიათში, სადაც წმ. ადამის ორი შვილის ცხოვრების ერთი ეპიზოდია აღწერილი, წმ. ადამის ერთ-ერთი შვილი აბელი ადამიანს თავისი გაჩენის არსის შესაბამისად ძვირფას და პატივსაცემ არსებად მიიჩნევს და ნათლად გამოხატავს, რომ ღვთით ბოძებული სიცოცხლის მოსპობა, მხოლოდ ღმერთის ძალუძს. გამოდის რომ იმ დროს აბელი ტერორის და ძალადობის ერთგვარი გამოვლინების წინააღმდეგი იყო და ამ მაგალითით ნამდვილი ადამიანობის გამოცდა წარმატებით ჩააბარა. ამის საპირისპიროდ კი კაენმა ძალადობის გზა აირჩია და საკუთარი ძმის სისხლი დაღვარა. შესაბამი-

სად, სწორედ ის გახდა ძალადობის, ადამიანის სიცოცხლის გამეტების და სხვა მსგავსი ბოროტების პირველი მაგალითი. საბოლოო ჯამში, სიკეთის და ადამიანობის გამოცდა აბელმა წარმატებით გაიარა, ხოლო კაენი,დამარცხდა.

აღნიშნული მოვლენა განსაკუთრებით დამაფიქრებელია იმ თვალსაზრისითაც, რომ იმ დროს პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა მსგავსი სფეროები, ბუნებრივია, ისეთი დაძაბული კონკურენციით არ გამოიჩეოდა როგორიც დღეს არის. ადამიანის გაჩენის მიზანს და არსს თუ დავაკვირდებით, ყურანიდან ერთი მაგალითის გახსენება მოგვიწევს, რომელიც სამყაროს შემოქმედსა და ანგელოზებს შორის დიალოგს წარმოადგენს:

„აკი, უთხრა უფალმა შენმა ანგელოზებს: ხალიფა (ნაცვალი) უნდა დავადგინო დედამიწაზე. ანგელოზებმა უპასუხეს: ვინც უკეთურობას დასთესს და სისხლს დაღვრის, ისეთი ქმნილება უნდა დაადგინო? როცა ჩვენ გამუდმებით გადიდებთ, თაყვანს გცემთ და სიწმინდეს ვაღიარებთ შენსას?! ბრძანა (ალლაჰმა): ვიცი მე, რაც არ იცით თქვენ!“ (ბაყარა 30)

აქ წარმოდგენილი დიალოგი ადამიანის დახასიათების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენაა. ადამიანი, ეს არის ერთის

მხრივ პასუხისმგებლობის მატარებელი,„ხალიფა“, რომელსაც გარკვეული მისია ერგო და მეორეს მხრივ მოძალადე და სისხლისმღვრელი.

ადამიანს აქვს პოტენციალი, საიმისო უნარი, რომ აღიაროს სამყაროს შემოქმედი, მისი ერთადერთობა და უნიკალურობა დაიჯეროს და ღმერთის მიერ ბოძებული უთვალავი სიკეთის გამო მას მადლიერება შესწიროს. ეს მის დადებით მიდრეკილებებს განავითარებს და „გაანგელოზების“ პროცესი წარმოიქმნება და ადამიანი მის რეალურ მისიას შეასრულებს, მაგრამ თუ ამ ყველაფერს არ მიეცა გასაქანი, ამ ყველაფრის ადგილს ძალადობა, მტრობა და მსგავსი უბედურებები დაიკავებს. ყურანში ღმერთი ბრძანებს:

1 „უეჭველად, ჩვენ ადამიანი „საუკეთესო ფორმად“ გავაჩინეთ!

2 მერე კი ვაქციეთ იგი უმდაბლეს საფეხურზე!“ (თინ 4-5)

ეს აიათი ადამიანის ორსახოვანი ბუნების განმარტებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. როგორც გამჩენი ბრძანებს ადამიანი დედამიწის „ხალიფადაა“ მოვლენილი და მას ყველა დადებითი თვისება ერგო, მაგრამ მეორეს მხრივ ცოდვის, ბოროტებისა და ამპარტავნების გამო ადამიანი ამ

დადებით თვისებებს კარგავს.

საზოგადოებაში გავრცელებული არეულობა და სისხლისღვრა ანარქიის და ტერორის ყველაზე ნათელი შედეგია. როდესაც საზოგადოებაში მორწმუნეობა, თაყვანისცემა და მადლიერების გრძნობაა ფეხმოკიდებული ანარქიის და ტერორის შესაძლო ალბათობა მნიშვნელოვნად იკლებს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რაცარუნდა ფორმა და შინაარსი შეიცვალოს ტერორმა, ძალადობამ, ბოროტებამ და ადამიანის უფლებების ხელყოფამ, მათი სხვადასხვა ვერსიები მაინც წარსულიდან მომდინარეობს. სინამდვილეში, კაცობრიობას ტერორი და ძალადობა არასოდეს მიუღია, როგორც დადებითი და მისაღები მოვლენა, მაგრამ ამის მიუხედავად, კაცობრიობა ამ შავი ლაქისგან ვერ გათავისუფლდა.

სამწუხაროდ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტერორის, ანარქიის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი მხარე, თავისი ეთნიკური, პოლიტიკური, ან რელიგიური კუთვნილების გათვალისწინებით დრო და დრო მხარდაჭერას ვერ გრძნობენ.

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე წამებასა და ძალადობაში მხილებული ადამიანი, განურჩევლად მისი რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა კუთვნილებისა, ცივილიზებული სამყაროს და უბრალოდ საღად მო-

აზროვნე ადამიანთა მხრიდან მხარდაჭერილი არ ყოფილა. ხოლო ის ადამიანები, რომლებიც სიკეთის, სიყვარულის და გულმოწყალების სიმბოლოდ იქცნენ, მიუხედავად მათი რელიგური, ეთნიკური ან სხვაგვარი კუთვნილებისა, ისინი საყოველთაო სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებდნენ.

ანარქია და ტერორი თავისი წარმოქმნის მიზეზების თვალსაზრისით მრავალმხრივი და ქაოსური აგებულებისაა. ამიტომ, ანარქიისა და ტერორის მხოლოდ რელიგიასთან

დაკაშირება და მისი ამ ჭრილში განხილვა არასწორი იქნება. ცხადია, რომ ანარქიისა და ტერორის უკან რელიგიურად გადაცდომილი რწმენების და მოტივაციებს გარდა არსებობს ფსიქოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა მსგავსი ფაქტორები.

ანარქია და ტერორი ღვთიურ გზაჟნილებს არ შეესაბამება, რადგან ღვთიურ გზაჟნილებში შეშნყნარებლობაა მთავარი.

სარწმუნოების ძირითადი არსი შემწყნარებლობაა. ანარქიის და ტერორის არსი კი შეუწყნარებლობა, ძალადობა, სისხლისღვრა, მკვლელობა და სხვა მსგავსი მოვლენებია. გამომდინარე აქედან, ანარქიისა და ტერორის წყაროს ძიებისას რელიგიურობის და ღრმად მორწმუნოების მაგივრად უფრო უპრიანი იქნება ურწმუნოებასა და რწმენის არასწორ გაგებაში ვეძიოთ. ისლამში და სხვა ზეციურ რელიგიებში ტერორიზმის ადგილი არ არსებობს. პირიქით, ყველა ის ქმედება, რასაც დღეს ტერორიზმს ეძახიან, ისლამის მიხედვით დიდი ცოდვა და დანაშაულია, ამიტომ ყოველი მუსლიმის ვალდებულებაა წინ აღუდგეს ამგვარ ქმედებებს და დედამიწაზე მშვიდობისა და სამართლიანობის დამკვიდრებისთვის იზრუნოს.

პიროვნულ თავისუფლებაზე მნიშვნელობის მინიჭების გაგება და ზოგადად შემწყნარებლური აზროვნება, ამ მხრივ წარმატების გზაზე, მეტწილად მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავისუფლება და წესრიგი წარმატების მთავარი გასაღებია.

თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მატერიალური კეთილდღეობა და წარმატება სულიერი თანადგომის გარეშე გარკვეულ სიცარიელეს წარმოშობს და ეს სიცარიელე საზოგადოებაში პრობლემებს აჩენს.

საზოგადოებრივი წესრიგის ლეგიტიმური საფუძვლების და ღირებულებების არაფრად ჩაგდება ანარქიას იწვევს. ისლამი, რაც არ უნდა იყოს, ანარქიას, არანაირი ფორმით არ გაამართლებს, რადგან ადამიანის და სამყაროს მიმართ სიყვარული და პატივისცემა, ისლამის მიხედვით, ყველა დანარჩენ მატერიალურ ღირებულებაზე მაღლა დგას. გამომდინარე აქედან, ისლამი, ნებისმიერი პრობლემის გადაჭრისას ანარქიას და მისგან გამომდინარე ძალისმიერ მეთოდებს არც ლეგიტიმაციას მისცემს და არც მისაღებად ჩათვლის.

სამყაროს შემოქმედმა კაცობრიობას გადარჩენის უკანასკნელი რეცეპტის სახით ისლამი გამოუწერა და ისლამი მშვიდობის, ძმობისა და ბედნიერების სარწმუნოებაა.

ისლამი არასოდეს და არანაირი ფორმით ანარქიას და ტერორს ლეგიტიმაციას არ მისცემს და კატეგორიულად კრძალავს მას. ამ დროს მნიშვნელობა არ აქვს ძალადობის მსხვერპლის რაიმე სახის კუთვნილებას.

ისლამის ეს ცნობილი პრინციპი ყურანში შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

„ამისთვის დავუწერეთ ისრაილის შვილთ, რომ ვინც მოჰკლას ადამიანი არა ადამიანის წილ და არა ქვეყანაზე უკეთურობის გასაწმენდად, თითქოსდა მთელი ხალხი ამოეწყვიტოს. და ვინც ადამიანს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს, თითქოსდა მთელი ხალხისთვის შეენარჩუნებინოს სიცოცხლე. ვფიცავ! ჩვენი შუამავალნი უკვე იყვნენ მათთან მისულნი ცხადი მტკიცებანით , მაგრამ ამის შემდგომაც, უეჭველად, ბევრი იმათგანი მაინც განაგრძობდა დედამიწაზე ზღვარგადასულობას .“ (მაიდე 32)

აიათში ნათლად ჩანს, რომ ადამიანის სიცოცხლე, მიუხედავად მისი რელიგიური, პოლიტიკური თუ ეთნიკური კუთვნილებისა, წმინდა და ხელშეუხებელია. უდავოა, რომ მუსლიმების ქცევებს და ადამიანებთან მოპყრობას ეს და სხვა მსგავსი ღვთიური გზავნილები განაპირობებს. მუსლიმების ქცევების ამგვარი ჩამოყალიბების ვისაც სჯერა, მისთვის ეს ყველაფერი რწმენისეული ვალდებულებაა. გარდა წმინდა წიგნისა, მსგავ-

სი გზავნილები შუამავლის ჰადისებშიცაა გადმოცემული და ამ ჰადისების გავლენა მორწმუნეთა ქცევებზე აშკარა და უდავოა.

წმ. შუამავალი იმ ადამიანების უბადლო მისაბაძი მაგალითია, რომლებიც ადამიანური და მორალური თვალსაზრისით და ღვთისმოსაობის კუთხით ისლამზე არიან დამოკიდებულნი. შუამავალი კი მუდმივად მიმტევებლობას, შემწყნარებლობას, სიმართლის სიწმინდეს და სამართლიანობას ქადაგებდა. მისი სწავლების მიხედვით არათუ ადამიანის, არამედ ცხოველის წვალება და მოკვდინება აკრძალულია თუ ეს ლეგიტიმურ აუცილებლობას არ წარმოადგენს. შემდეგი ჰადისი, რომელსაც ახლა წარმოგიდგენთ, აღნიშნულ საკითხს შეესაბამება.

„უსამართლოდ ერთი ბეღურაც რომ მოკლათ, განკითხვის დღეს ღმერთი პასუხს გაგებინებთ“.

ერთი შეხედვით უბრალო არსების, ბეღურის უსამართლოდ მოკვდინება ღვთიური განკითხვის მიზეზი ხდება. აქედან გამომდინარე იოლი წარმოსადგენია თუ რაოდენ დაცულია ადამიანის სიცოცხლე და ადამიანის მოკვდინების შემთხვევაში განკითხვა გაცილებით მკაცრი იქნება.

ორანაირი ყოფილება ანარქიას და ტერორს არ აძლევლებს

ისლამი მუსლიმებს შორის ძალადობას კატეგორიულად კრძალავს. ძალადობა ასევე მიუღებელია არამუსლიმთა მიმართაც. ისლამის ისტორიაში საამისო მაგალითები ბლომად მოიპოვება. მუსლიმები არამუსლიმი მოსახლეობის მიმართ შემწყნარებლობას იჩენდნენ. ამგვარი ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებისთვის საჭირო ელემენტები, როგორიცაა მშვიდობა, რელიგიის თავისუფლება და ადამიანის მიმართ პატივისცემა, სწორედაც რომ აიათებსა და ჰადისებში წარმოდგენილმა გზავნილებმა განაპირობა.

წმ. შუამავალი ბრძანებდა: „ღმერთისა და შუამავლისათვის მიერ მიღებული არამუსლმი მოსახლეობის და ისლამურ სახელმწიფოში დროებით ვიზით მცხოვრები არამუსლიმი ხალხისგან რომ რომელიმე მოკლათ, ამით ღმერთის ფიცს დაარღვევთ. მკვლელი კი ამის გამო სამოთხის სუნსაც ვერ იგრძნობს. სამოთხის სუნი კი 70 წლის სავალი მანძილიდანაც იგრძნობა.“

გამონაკლისებს და პიროვნულ გადაწყვეტილებებზე დამყარებულ უარყოფითი ქცევების მაგალითებს თუ გამოვაკლებთ, ისლამურ სახელმწიფოში მცხოვრები არამუსლიმები ზოგადად შემწყნარებლურ გარემოში ცხოვრობდნენ. ამას ადასტურებს ხალიფა ალის მიერ ნათქვამი სიტყვები, რომელიც მან არამუსლიმი მოსახლეობის შესახებ თქვა: „ჯიზიას გადასახადზე თანხმობის შემთხვევაში მათი ქონება და სიცოცხლე იგივეა, რაც ჩვენი ქონება და სიცოცხლე.“ ეს შეფასება საკმარისია საიმისოდ, რომ ისლამურ სახელმწიფოში მცხოვრები არამუსლიმი მოსახლეობისადმი მიდგომები გავიაზროთ და სწორად გავაანალიზოთ. ამგვარი სამართლიანი მიდგომების წყარო კი, როგორც ზევით იქნა აღნიშნული ყურანი და ჰადისებია.

ყურანში და ჰადისებშიც ხშირია მოწოდება იმის თაობაზე, რომ ცოცხალი არსებების მიმართ საჭიროა შემწყნარებლური და-

მოკიდებულება და მათი სიყვარული და რა თქმა უნდა მათი უფლებების დაცვა. გარდა ამისა, ბოროტება, სიძულვილი, მტრობა, ძალადობა და მსგავსი ქმედებები წმინდა წყაროებში მუდმივად დაგმობილია. განა შესაძლებელია სარწმუნოებამ, რომელსაც მსგავსი პრინციპები აქვს საფუძვლად, წაახალისოს ან რაიმე ფორმით მხარი დაუჭიროს ძალადობას და ტერორს? ამ კითხვაზე ყველა ადამიანი, რომელსაც სინდისი სუფთა აქვს უპასუხებს „არა“. არცერთი რელიგია, რომელსაც ღვთიური საწყისები და ადამიანური იდეოლოგია გააჩნია, ტერორსა და ძალადობას არ გაამართლებს. თუმცა, სამწუხაროდ, კაცობრიობის ისტორიაში დაფიქსირებული ძალადობის უმეტესობა რელიგიასა და იდეოლოგიასთან არის კონცენტრირებული.

სამწუხაროდ დღესაც ასე ხდება. ადამიანებს სწირავენ რელიგიის და იდეოლოგიის სახელით, არადა ეს რელიგიები სინამდვილეში ძალადობის კატეგორიული წინააღმდეგია. გარდა ამისა, ხშირია ეთნიკურ კუთვნილებასა და განსხვავებულ აზროვნებაზე დამყარებული ძალადობის გამოვლინების ფაქტებიც.

ისლამის მიხედვით ადამიანის წინაშე განხორციელებული ძალადობა, მისი უფლებების ხელყოფა კატეგორიულად აკრძალუ-

ლია. ადამიანის უფლებები წმინდა და ხელშეუხებელია, მიუხედავად მისი რელიგიური კუთვნილებისა თუ საზოგადოებაში პიროვნების სტატუსისა.

თანამედროვე ეპოქაში აღიარებული, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, ის უფლებები და თავისუფლებებია, რომლებიც ისლამში ძირითად უფლებებადაა აღიარებული. ეს უფლებები და თავისუფლებები არცერთი ფორმით არ უნდა იქნას ხელყოფილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა უფლება, რომელიც ადამიანს ადამიანური ცხოვრებისთვის და არსებობის შენარჩუნებისთვის სჭირდება, ისლამის მიხედვით ადა-

მიანს ეკუთვნის და ის წმინდაა. ისლამში, აღნიშნული უფლებების ხელყოფის ნებისმიერი ფორმის მცდელობა დაგმობილია და ასევე მიღებულია პრევენციული ზომები.

ისლამში, ადამიანის სიცოცხლის უფლებას გასაკუთრებული ადგილი უკავია, რადგან ადამიანის სიცოცხლე იმ ღირებულებათაგან უმთავრესია, რაც მას გააჩნია. ისლამში სიცოცხლის უსაფრთხოება, ღირებულებების ჩამონათვალში, მართალია მეორე ადგილს იკავებს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ის პირველ ადგილზე დგება. ამ თვალსაზრისით, ისლამში, ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმა დასჯადია და მისი ერთ-ერთი ფორმა ყურანშ შემდეგნაირადაა აღწერილი:

1. „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავალდებულო გახდა თქვენდა სამაგიეროს გადახდა მოკლულთათვის (ყისასი). თავისუფალი თავისუფალის წილ, და მონა მონის წილ, და ქალი ქალის წილ. ხოლო ვისაც ეპატიოს რამე თავის (მოკლულის) ძმისაგან (ახლობლებისგან), წესისამებრ უნდა მოიქცეს იგი და აუნაზღაუროს კეთილად (გადაიხადოს დიეტი). ესაა შეღავათი თქვენი ღმერთისგან და წყალობა; და ვინც ზღვარს გადავიდეს , ამის მერე მწარე სასჯელი მიეზღოს მას!

2. ჰეი, გონიერნო! სამაგიეროს გადახდაში სიცოცხლეა თქვენთვის. ეგების დაცული იქმნეთ ყოველივე ცუდისაგან!“ (ბაყარა 178-179)

გარდა ამისა, ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას აქვს მორალური სასჯელი და დატვირთვა. აიათში ნაბრძანებია:

„ამისთვისდავუწერეთ ისრაილის შვილთ, რომ ვინც მოჰკლას ადამიანი არა ადამიანის წილ და არა ქვეყანაზე უკეთურობის გასაწმენდად, თითქოსდა მთელი ხალხი ამოეწყვიტოს. და ვინც ადამიანს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს, თითქოსდა მთელი ხალხისთვის შეენარჩუნებინოს სიცოცხლე. ვფიცავ! ჩვენი შუამავალნი უკვე იყვნენ მათთან მისულ-

ნი ცხადი მტკიცებანით, მაგრამ ამის შემდგომაც, უეჭველად, ბევრი იმათგანი მაინც განაგრძობდა დედამიწაზე ზღვარგადასულობას.“ (მაიდე 32)

ყურანში ასევე ნაბრძანებია, რომ უსამართლოდ მკვლელობის ჩამდენი მუდმივ ჯოჯოხეთს იმსახურებს.

1 „და ვინც მორწმუნეს მოკლავს განზრახ, ჯოჯოხეთია მისი საზღაური, სადაც დარჩება მუდმივად. განურისხდა მას ალლაჰი და დაწყევლა იგი და გაუმზადა მას სასჯელი საშინელი!“ (ნისა 93)

მიტევება და შემწყნარებლობა საძყარის წყალობად მოვლენილი შუამავლის გზაა

წმ. შუამავალი მუჰამმედი ყველა მორწმუნისათვის სამაგალითო ადამიანი იყო. როდესაც მის ცხოვრებას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მას, მისი ცხოვრების და მოღვაწეობის მანძილზე არავის წინაშე ძალადობა არ გამოუყენებია. მან თავისი საყვარელი ბიძის, ჰამზას მკვლელი ვაჰშიც კი შეიბრალა და მიუტევა. მან აპატია მათაც, ვინც თავისი მშობლიური ქალაქიდან ენით აღუწერელი შევიწროებისა და ძალადობის შედეგად განდევნა. ამ ყველაფერის შემდეგ კი, როცა მტელი ძალაუფლება მის ხელში

გადავიდა შურისძიებაზე არც უფიქრია და ყველას შეუნდო. მისი ცხოვრების პერიოდში ადამიანებსა და მათ ოჯახებს აღარავინ ავიწროებდა და ძალადობა პრაქტიკულად აღარ იყო. ამასთანავე, შუამავალი ხშრად მოუწოდებდა მიმდევრებს, რომ ძალადობისგან თავი შეეკავებინათ. მაგალითისათვის რამოდენიმე ჰადისს შემოგთავაზებთ:

„მუსლიმი მუსლიმის ძმაა. ის მას არ დაჩაგრავს. არ უღალატებს, არ მოატყუებს და გაჭირვებაში არ მიატოვებს. ყოველი მუსლიმისთვის სხვა მუსლიმის სისხლი, ნამუსი და ქონება არამია.“

„ღმერთის წინაშე, დედამიწის მოსპობა უფრო ნაკლები უბედურებაა, ვიდრე ერთი მუსლიმის მკვლელობა.“

„ ორი მუსლიმი თუ ერთმანეთს სასიკვდილოდ შეებმება, მკვლელიც ჯოჯოხეთს იმსახურებს და მოკლულიც.“

„ვინც არ შეიწყნარებს, არც თავად შეიწყნარების.“

ისლამის შუამავალი არამარტო ადამიანების, არამედ ცხოველების მიმართაც შემწყნარებლობას ბრძანებდა. თემასთან დაკავშირებით არსებობს ცნობილი მოვლენა, როცა ერთ-ერთმა ცოდვილმა კაცმა მწყურვალედ დარჩენილ ძაღლს, მიუხედავად ძნელი პირობებისა წყალი მიაწოდა და ამ

ფაქტის გამო, შუამავლმა ბრძანა, რომ ამ ცოდვილ ადამიანს ამგვარი სიკეთის გამო ცოდვები მიეტევა. ასევე არსებობს მეორე ცნობილი მოვლენა, როცა ერთ-ერთმა ქალმა კატა სახლში გამოკეტა, რამაც კატის შიმშილით სიკვდილი გამოიწვია. ეს კონკრეტული ცოდვა კი იმ ქალისთვის ჯოჯოხეთში წასვლის მიზეზი გახდა. გარდა ამისა, შუამავალი ბრძანებდა, რომ პირუტყვის შეწირვის ან სხვა მიზეზით დაკვლის დროს პირუტყვი არ უნდა აწამოთო.

არსებობს მრავალი ჰადისი, რომლებიც ცხოველებისადმი შემწყნარებლურ დამოკი-

დებულებას მოგვიწოდებს. შუამავალი ძალიან იშვიათად თუ დაწყევლიდა ვინმეს, მაგრამ როცა გზად მიმავალმა დაინახა თუ როგორ აწამებდა ვიღაც კაცი პირუტყვს, შუამავალმა ის დაწყევლა.

წარმოიდგინეთ, ისლამი, რომელიც ცხოველების მიმართ ესოდენ შემწყნარებელი და ჰუმანურია, როგორი შემწყნარებელი და ჰუმანური იქნება მისი დამოკიდებულება ადამიანის მიმართ და როგორ შეიძლება, რომ ადამიანის წინააღმდეგ ძალადობა გაამართლოს. ვინც რეალურად იცნობს ისლამს და აქვს სწორი ხედვა, რა თქმა უნდა იტყვის, რომ ისლამი გმობს და უარყოფს ძალადობას. სხვანაირი დასკვნა, უბრალოდ ისლამის საფუძვლებთან თანხვედრაში არ მოდის.

ომსაც თავისი საძმოთიალი და ყანონი აქვს

ყურანის და სუნას მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობებში ძირითადი მამოძრავებელი მიზანი მშვიდობაა. ომი გამონაკლისი მდგომარეობაა. ომები, რომლებიც ისლამის და მუსლიმების არსებობის და ღირსების დაცვას ისახავდა მიზნად, ისტორიაში არსებული ჯიჰადის პროცესის მოკლე ეპიზოდებს ასახავს. მუსლიმების მიერ მომხვდურის წინააღმდეგ ბრძოლა, დაპყრობის და

ძალადობის წინააღმდეგ წინააღმდეგობის გაწევა რელიგიურად ლეგიტიმურია. ეს ბუნებრივი უფლება და უფრო მეტიც, მოვალეობაა. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი რამ აუცილებლად გასათვალისწინებელია. როგორც ყველა სამართლებრივ სისტემაში, ისლამის სამართლებრივ სისტემაშიც მიზნის ლეგიტიმურობასთან ერთად, ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებების ლეგიტიმურობაც აუცილებელია. ამიტომ, ისლამი მომხვდურის წინააღმდეგ თავდაცვის მიზნით მუსლიმებს ომში ჩართვისკენ მოუწოდებს, მაგრამ ამასთანავე ასწავლის თუ როგორ უნდა მოიქცენენ ომის დროს. ანუ ისლამი ადგენს და განმარტავს ომის კანონს.

ამრიგად, მტრის შემოტევის დროს ომში ჩაბმული მუსლიმები გარკვეული შეზღუდვებით ხელმძღვანელობენ. მუსლიმებს ომის დროსაც კი ძალადობა და დანაშაული ეკრძალებათ. მაგალითად, ომის წარმოების დროს ქალების, ბავშვების და მოხუცების დახოცვა აკრძალულია. ასევე აკრძალულია წამებით მოკვდინება.

ისლამის ისტორიაში არ არის ქალების გაუპატიურებისა და უდანაშაულო ადამიანების წამების შემთხვევები, რასაც თანამედრომე ეპოქაში საკმაოდ ხშირად ვხვდებით. სასურველია იმ ადამიანებმა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისლამი ცეცხლითა და მახვილით გავრცელდა, კარგად გაიცნონ წმ. შამავლის ცხოვრება და მის მიერ წარმოებული ომები. სასურველია დაითვალონ რა რაოდენობის მსხვერპლი მოჰყვა ამ ომებს და შეადარონ რეალურ სიტუაციას. ასეთ შემთხვევაში ფაქტი ნათელი გახდება, რომ ისლამის შუამავალი სისხლისღვრის წინააღმდეგი იყო. ამ საკითხთან დაკავშრებით წარმოგიდგენთ მუჰამმედ ჰამიდულლაჰის მოსაზრებებს, რომლებიც საკმაოდ საინტერესოა.

„მისი იმპერატორობა ვიწრო ქუჩებიან პატარა ქალაქ-სახელმწიფოში დაიწყო და ეს ტერიტორია დღეში 274 კვ. მილის სისწრაფით ფართოვდებოდა. სიკვდილისას კი

უკვე 2 მილიონის კვადრატული კმ. ფართობის იმპერიას მართავდა. ამ უზარმაზარი ტერიტორიის დაკავებისას, მოწინააღმდეგეთა რიგებიდან 250-მდე ადამიანის სიკვდილი მოჰყვა. 10 წლიანი პერიოდის განმავლობაში მუსლიმთა რიგებიდან შაჰიდად წასული მებრძოლების რაოდენობა საშუალოდ თვეში ერთი ადამიანი იყო. ადამიანის სისხლის მიმართ გამოჩენილი ესოდენ პატივისცემა კაცობრიობის ისტორიის მანძილზე უანალოგოა."

ისლამის მიმდევარი ადამიანი ძალადობას არ უნდა მიმართავდეს. ის უნდა იყოს შემწყნარებლობის, სიმართლისა და სამართლინობის მაგალითის მიმცემი. მორწმუნე მუსლიმს, სწორედ მისი რწმენა არ მისცემს იმის უფლებას, რომ ძალადობას, ბოროტებასა და უზნეობას მიმართოს. ისლამი მუდმივად მოუწოდებს ადამიანებს, რომ აირჩიონ შემწყნარებლობისა და მიტევების გზა. ისლამი ყოველთვის გმობდა და გმობს ძალადობას. ერთხელ, მტრის კონტროლირებად ტერიტორიაზე უსამე იბნ ზეიდს ერთ კაცი შეხვედრია და იმ კაცს „შაჰადა" წარმოუთქვამს. უსამეს ეგონა რომ კაცმა ეს შიშის გამო წარმოთქვა და ის კაცი მოკლა. ეს ამბავი შუამავალს როცა აცნობეს ძალიან ეწყინა და უსამეს სასტიკად უსაყვედურა.

ეს მოვლენა. სურა ნისას 94-ე აიათის მოვლინების მიზეზი გახდა:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა გაეშურებით (საბრძოლველად) ალლაჰის გზაზე, განასხვავეთ (მორწმუნე ურწმუნოსაგან) და ამქვეყნიური სიუხვის მოხვეჭის სურვილით არ უთხრათ იმას, ვინც მშვიდობას შემოგთავაზებთ: შენ არა ხარ მორწმუნე! მაშინ, როცა ალლაჰთანაა ურიცხვი ალაფი. ასეთი იყავით უწინ, მაგრამ ალლაჰმა წყალობა მოიღო თქვენზე. ამიტომ გაიაზრეთ, უეჭველად, ალლაჰი უწყის რასაც სჩადიხართ!“ (ნისა 94)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, წმ. შუამავლის პასუხი, რომელიც მან მიყდად იბნ ესვედის შეკითხვას გასცა, საკმაოდ დამაფიქრებელია. მიყდადის შეკითხვა შემდეგი იყო:

„ღვთის შუამავალო, ვთქვათ ომის დროს მტრის პირისპირ აღმოვჩნდი და შევებრძოლე. ამ დროს ურწმუნო მტერმა შემომიტია და მკლავი მომჭრა. ჩემი შეტევის შემდეგ კი ხის უკან დაიმალა თქვა, რომ ის უკვე მუსლიმი გახდა. ამ სიტუაციაში მაქვს თუ არა უფლება ის მოვკლა?

„ვერ მოკლავ“, უპასუხა შუამავალმა.

სწორედ შუამავალი გვასწავლის, რომ ადამიანი, რომელიც უმწეო მდგომარეობაში ჩავარდება, მტერიც რომ იყოს უნდა შევიწყნაროთ და ცუდად არ მოვექცეთ.

ჰიჯრით მერვე წელს, შევვალის მთვარეში, წმ. შუამავალმა 300 კაცისგან შემდგარ რაზმს ხალიდ იბნ ველიდი დაუნიშნა უფროსად და ჯეზიმეს ტომის ხალხთან გაგზავნა საომრად. თან დაუბარა, რომ თუ ჯეზიმეს ხალხი ომზე უარს იტყოდა არ შებრძოლებოდნენ. ჯეზიმეს ტომის ხალხმა ხალიდის მეთაურობით გაგზავნილი ჯარი რომ დაინახეს იარაღი აისხეს და ბრძოლაში ჩაებნენ. ბრძოლის დროს ჯეზიმეს ტომიდან ერთ-ერთი გამორჩეული ახალგაზრდა ყმაწვილი დაიღუპა. იმ დროს თურმე იმ ყმაწვილის მეუღლე იქ იყო და როცა დაინახა მისი საყვარელი მამაკაცი მოკლული დაეცა ძირს, ისიც მივარდა და იკივლა. იმდენად განიცადა ეს ტრაგედია, რომ საწყალი ქალი თვითონაც იქვე გარდაიცვალა. ეს

ამბავი, მოგვიანებით შუამავალს აცნობეს. შუამავალი ძალიან დაღონდა და მის მომხრეებს ასე უსაყვედურა: „ნუთუ თქვენს შორის არავინ იყო შემწყნარებელი?“ გარდა ამისა, შუამავალს აცნობეს, რომ ხალიდმა ტყვეების ერთი ნაწილიც დაახოცინა. შუამავალმა ხელები ზეცისკენ აღაპყრო და ღმერთს სთხოვა: „ღმერთო, მე ხალიდის ნამოქმედარისგან შორს ვარ. მისთვის ეს არ მიბრძანებია“.

შუამავალი ძალადობის გამოყენებისა და წამების ნებართვას არ გასცემდა. სუჰეილ იბნ ამრი მექელი ურწმუნოების ერთ-ერთი მოწინავე წარმომადგენელი იყო. სწორედ ის იღებდა მონაწილეობას შუამავლის შევიწროებასა და დევნაში, სანამ შუამავალი ჰიჯრას გააკეთებდა და მედინაში წავიდოდა. ბედირის ბრძოლაში სუჰეილი ტყვედ ჩავარდა. ერთხელ გაქცევაც სცადა, მაგრამ ისევ დაიჭირეს. სუჰეილი ნაკითხი კაცი იყო. სიტყვით შეეძლო ადამიანებზე ზემოქმედება მოეხდინა. ომარმა შუამავალს სთხოვა, ნება მიეცა, სუჰეილისთვის წინა კბილები ჩაემტვრია, რათა მას შუამავლის შესახებ ვეღარ ესაუბრა. შუამავალმა უარი უთხრა. ვერ ვაწამებ, ღმერთი ამისთვის დამსჯისო. თანაც, იმედი მაქვს, რომ ერთ დღეს ის ისე მოიქცევა, რომ მოგვეწონებაო. მართლაც ასე მოხდა. შუამავლის გარდაცვალების შემდეგ მექაში ცნობილი მოვლენები

მოხდა. საუბარი იყო ისლამის მიტოვებაზე. სწორედ მაშინ მიმართა სუჰეილმა ხალხს: „მექელებო, თქვენ ალლაჰის სარწმუნოებას უკანასკნელნი შეუერთდით. ამ სარწმუნოებიდან განდგომაში პირველნი მაინც ნუ იქნებით.“ მისი ეს სიტყვები იმ უსიამოვნო მოვლენების დასრულების მიზეზი გახდა.

როგორც აქ წარმოდგენილ აიათებში და ჰადისებში იყო გადმოცემული, ისლამის მიხედვით ომის დროსაც კი არ არსებობს ძალადობა. ომის დროსაც კი უპირატესობა შემწყნარებლობასა და მიტევებას ენიჭება.

თანაცხოვრება

თანამედროვე ცხოვრებში არსებული გაურკვევლობა, რომლებსაც სოციალური, ეთნიკური და რელიგიური სარჩული უდევთ საფუძვლად და ის სისხლისღვრა, რაც ყოველდღიურობაში გვხვდება, გვიჩვენებს, რომ თანაცხოვრების კულტურა, არ გაგვაჩნია და ცოდნა ამ კულტურისა, ძალზედ მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

დროა კაცობრიობამ დაიჯეროს, რომ ამ ტექნოლოგური განვითარების ეპოქაში, სადაც დედამიწა „საერთაშორისო“ სოფლად არის წარმოდგენილი, ადამიანებმა ერთიმეორის უფლებები უნდა დაიცვან და ერთად თანაცხოვრება ისწავლონ. ეთნიკური, რელი-

გიური, იდეოლოგიური და პილიტიკური სხვადასხვაობა დაპირისპირების მიზეზი კი არ უნდა იყოს, არამედ ეს ყველაფერი კაცობრიობის ისტორიის კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს და ეს ასეც უნდა აღიქმებოდეს. ამგვარი აღქმა ფუფუნება კი არა, აუცილებლობაა.

ისლამის მხრიდან რომ შევხედოთ, წმ. წიგნის და შუამავლის ჰადისების გზავნილები ცხოვრების კულტურის ჩამოყალიბების საქმეში მთავარ როლს თამაშობენ. ყურანის მიხედვით ადამიანების სოციალური, კულტურული და ეთნიკური სხვადასხვაობა ერთის მხრივ ღვთიური ფორმატის გამოხატულება, ხოლო მეორეს მხრივ კი ეს სხვადასხვაობა ღმერთის სიდიადის ერთ-ერთი მაჩვენებელია. ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

„და მისი სასწაულებიდანაა ცათა და მიწის გაჩენა, თქვენი ენების და ფერის სხვადასხვაობაც. უეჭველად, ამაში სასწაულებია მცოდნეთათვის !“ (რუმ 22)

„და ჩვენ შენდა გარდმოვავლინეთ წიგნი ჭეშმარიტებით, დასტურად იმისა, რაც მასზე უწინ იყო წიგნში, და დამცველად მისდა . მაშ, განსაჯე მათ შორის იმის მიხედვით, რაც ზემოავლინა ალლაჰმა , არ განუდგე შენზე ბოძებულ ჭეშმარიტებას და არ აჰყვე მათ სურვილებს . თითოეულ თქვენგანს ჩვენ დავუდგინეთ კანონი და გზა . და რომ ენება ალლაჰს, ერთ თემად გქმნიდათ თქვენ . მაგრამ (დაგყოთ) იმისთვის რომ

გამოეცადეთ იმით, რაც გიბოძათ. მაშ, შეეჯიბრეთ ერთმანეთს კეთილი საქმეების კეთებაში. ყველანი ალლაჰთან მიბრუნდებით და იგი გაცნობებს იმას, რაზეც გქონდათ უთანხმოება.“ (მაიდე 48)

აიათის მიხედვით დედამიწაზე არსებული მრავალფეროვნება ღვთიური მოვლენაა და კანონია. სწორედ ღმერთმა დაადგინა ადამიანები სხვადასხვა სქესის, ხოლო შემდეგ დაყო ისინი გვარებად, ტომებად, რასებად და ა.შ.

„ჰეი, ადამიანნო! უეჭველად, ერთი მამრიდან და ერთი მდედრიდან გაგაჩინეთ თქვენ და რომ შეიცნოთ ერთმანეთი, დაგადგინეთ ერებად და ტომებად. უეჭველად, თქვენგან ყველაზე პატივდებული ალლაჰის წინაშე თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმოშიშია. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ყველაფრისმცოდნეა!“ (ჰუჯურათ 13)

გარდა ამისა, აიათში ნაბრძანებია, რომ ღმერთის წინაშე ყველაზე მეტად ამაღლებული ისაა, ვინც ყველაზე მეტად ღვთისმოშიშია და ამ მხრივ ეთნიკური ან ბიოლოგიური კუთვნილება პრივილეგიად არ ითვლება.

უპირველეს ყოვლისა ისლამი და მასთან ერთად ყველა ზეციური რელიგია თავიანთ გზავნილებში გადმოსცემენ მოწოდებებს, რომლებიც ადამიანთა შორის მშვიდობისა და ჰარმონიის დამკვიდრებას და კულტუ-

რული მრავალფეროვნებით თანაცხოვრებას უწყობს ხელს.

დაძაბულობის და შეუწყნარებლობის შედეგი საკმაოდ მძიმეა. ამგვარი დამოკიდებულება ადამიანს აიძულებს ყველაზე საყვარელ ადამიანსაც კი ზიანი მოუტანოს. ამგვარი გარემო ადამიანებს ჯანსაღი აზროვნების უნარს ართმევს. კაცობრიობის ისტორია და განსაკუთრებით კი ისლამის ისტორია მსგავსი მაგალითების ხშირი მომსწრეა. წმ. ადამის შვილი აბელი, იაკობის შვილი იუსუფი და წმ. შუამავლის საყვარელი შვილიშვილი ჰუსეინი, მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ადამიანებისა, რომლებიც შეუწყნარებლობის მსხვერპლნი გახდნენ.

ამ ყველაფრიდან ჩანს, რომ ტოლერანტობა ის მთავარი გზაა, რითიც კაცობრიობა მშვიდობასა და ჰარმონიაში ცხოვრებას შეძლებს. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჭეშმარიტება ყველამ იცის, ადამიანების ნაწილი პოლიტიკური სარგებლობისათვის ღალატობს ამ ჰუმანურ პრინციპს და დედამიწას საცხოვრებლად გაუსაძლისს ხდის. არადა, კაცობრიობის ჰარმონიული ცხოვრების მოშლა ყველას შეეხება, გარდა მცირედი გამონაკლისისა.

სინამდვილეში, დედამიწა ნაირფერადი ყვავილებით მოქარგული ბაღია. განსხვავებული რელიგიის, აღმსარებლობის და კულტურის მქონე ადამიანების არსებობა არა-

მარტო დღევანდელი, არამედ გუშინდელი ჭეშმარიტებაცაა. გარდა ამისა, შეუძლებელია იმის თქმა, რომ კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ადამიანები ერთი და იმავე აზრის ან სარწმუნოების მიმდევრები იყვნენ. რადგანაც განსხვავებული აზრი და მრავალფეროვნება ჩვენი რეალობაა, ადამიანებმა უნდა ვისწავლოთ ერთმანეთის პატივისცემა და ერთად ცხოვრება.

ერთ-ერთმა კოსმონავტმა, რომელმაც მთვარეზე ფეხი დადგა, შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „აქედან დედამიწა ლამაზი და ნათელია. იქ მშიდობა ჩანს.“ ეს იყო შემთხვევა, როცა ადამიანი დედამიწის მთლიანობას და ერთიანობას ხედავდა და მისი ხედვა სადღაც ჯურღმულში ჩაკეტილი ადამიანის ვიწრო ჰორიზონტს არ ჰგავდა. დედამიწის ამგვარი მთლიანი ხედვა სხვა ფაქტოების გამო არ უნდა დავანაწევროთ. ადამიანი, რომელი რწმენისა და შეხედულებისაც არ უნდა იყოს ის „სხვა“-დ, „სხვანაირად“ არ უნდა მივიჩნიოთ და ყველამ მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. თუ დავაკვირდებით მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს, ამგვარი გათიშლობის და ურთიერთდაპირისპირების ატანა უკვე გაუსაძლისი ხდება. ამიტომ, ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად მისი რელიგიური, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა უნდა ჰქონდეთ ტოლერანტული გარემო, რათა სრულფასოვანი თანაცხოვრება შეძლონ.

დასასრულს

ისლამის ძალადობასთან და ტერორიზმთან დაკავშირება, უდიდესი შეცდომაა. ეს ზოგადსაკაცობრიო საკითხია და ისლამი განტევების ვაცის როლშია გამოყვანილი. არც ისლამი და არც სხვა რელიგია ძალადობასა და ტერორს არ წააქეზებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, სარწმუნოება, რომლის არსი ადამიანი, სამყარო და გარემოა, ანარქიას და არეულობას ხელს არ შეუწყობს.

დედამიწაზე დაპირისპირების მრავალი წერტილი არსებობს. ზოგიერთი დაჯგუფება, დაპირისპირებისას, ძალადობას და ტერორს მიმართავს. ამ მდგომარეობის რელიგიაზე მიწერა და მისი პასუხისმგებლობის დაყენება უკიდურესი შეცდომა და დიდად საზიანოა. ადამიანები, როგორც ყოველთვის

ბოროტებას სჩადიან ხოლმე. პირველი და მეორე მსოფლიო ომები და სხვა მრავალი ომი, რომლებიც მთელ ისტორიას გასდევს ნათლად ცხადყოფს, რომ ადამიანი ხშირად სჩადის ბოროტებას და მისი ასეთი დამანგრეველი ბუნება ხშრად ვლინდება ხოლმე. წარმოიდგინეთ, ყველა ამ ბოროტების და სისხლისღვრის რელიგიაზე დაბრალება განა შესაძლებელია? ნუთუ შეიძლება იმის მტკიცება, რომ პირველ და მეორე მსოფლიო ომში დაღვრილი მილიონობით ადამიანის სისხლი ქრისტიანებს უნდა დავაბრალოთ? ამგვარი უამრავი მაგალითის ჩამოთვლა შეიძლება. განა შეიძლება ეს ყველაფერი ისე გავიგოთ, რომ ამ ყველაფრის უკან პოლიტიკური, ეთნიკური, ეკონომიკური, ან სოციალური სარჩული არ დავინახოთ და სხვა ფაქტორებს დავუკავშიროთ? მარტივი პასუხია „არა“. ამდენად, როცა მუსლიმები რაიმე კონფლიქტის დროს ძალადობას მიმართავენ, საკითხს იგივენაირად უნდა მივუდგეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი მიდგომები და დასკვნები აბსოლუტურად სუბიექტურ ხასიათს შეიძენს.

ძალადობის და ტერორის ისლამთან დაკავშირება, საკითხის ერთგვარი გამარტივების მცდელობა და მთელი ისტორიული რეალობის უგულებელყოფაა. დედამიწაზე არსებულ კონფლიქტებს, ძალადობასა და ტერორს, ანარქიასა და არეულობებს მრავალი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და

ეთნიკური სარჩული უდევთ.

სიღარიბე, შემოსავლების არასამართლიანი გადანაწილება, უმუშევრობა, გაუნათლებლობა, პოლიტიკური ზეწოლა, დემოკრატიის და გამოხატვის თავისუფლების არ ყოფნა, ტენდენციურობა, ხალხის დაშნების მცდელობა, მომავლის მიმართ უპერსპექტივობისა და უიმედობის განცდა და სხვა მსგავსი მიზეზები ძალადობის და ტერორის გამოვლინების ძირითადი ფაქტორებია. ამგვარი გარემო, არასწორი აღზრდა და ზნეობრივი ღირებულებების დაკარგვა ძალადობას და ტერორს ბიძგს აძლევს. ამგვარ გარემოში მოქცეული ადამიანები საზოგადოებისგან გარიყულად თვლიან თავს და ძალადობას მიმართავენ. მათ სჯერათ, რომ ტერორის გზით ამ პრობლემას მოაგვარებენ, ან სულ მცირე მათი გაუსაძლისი პირობების შესახებ მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას მიიპყრობენ. მერეს მხრივ, ზნეობისა და სულიერების მხრივ სარწმუნოების როლის ეჭვს ქვეშ დაყენება და მისი უმეცრებით ჩანაცვლება უფრო ცუდია, ვიდრე რელიგიასა და ტერორს შორის კავშირის აღმოჩენის მცდელობა. თუ რელიგია მხოლოდ ფანატიკური ჯგუფების ხელში დარჩება, რელიგია პრობლემების მოგვარების როლს დაკარგავს და ბოროტი განზრახვის მატარებელთა ხელში დამატებით იარაღად გადაიქცევა.

ის სოციალური, ეთნიკური, პოლიტიკური და რელიგიური ხასიათის დაპირისპირებები კაცობრიობის ისტორიის სიღრმეებში უნდა გამქრალიყო, მაგრამ ზოგიერთი ჯგუფების მიერ მისი თანამედროვეობაში გადმოტანა ხდება, რაც არ არის მოსაწონი და არც უნდა მოვიწონოთ. ამგვარი დაპირისპირებები, არც ადრე იძლეოდა რაიმე სარგებელს და მითუმეტეს არც ახლა მოიტანს. ამგვარ დაპირისპირებში გამარჯვებული მხოლოდ და მხოლოდ სიძულვილი, ბოროტება, სისხლი, ცრემლი, ძალადობა და ტერორია.

ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ არცერთი დაპირისპირება ლოკალურ დონეზე არ რჩება და ის სხვაგანაც ინარჩუნებს მოქმედებას. ყოველი გონიერი და ზნეობრივი ადამიანი თავადაც განიცდის იმ ჩაგვრას და ტკივილს, რომელიც ძალადო-

ბის მსხვერპლ ადამიანებს შეეხებათ და ამ დროს მნიშნელობა არ ენიჭება არც ეთნიკურ,არც რელიგიურ და არც რომელიმე სხვაგვარ კუთვნილებას.

თითქმის ყოველდღე, მასმედიის სხვადასხვა საშუალებებით, ჩვენს ახლოს თუ შორს ვხვდებით ძალადობის და ტერორის გამოწვეულ მოვენებს, სისხლისღვრას და ათას უბედურებას და ეს ყველაფერი სინდისის მქონე ადამიანებში გულისკივილს და შეწუხებას იწვევს. ამ ყველაფრის შემხედვარე, ხშრად გვებადება კითხვა, ნეტა ადამიანებში შემწყნარებლობა, სიკეთე, სიყვარული და პატივისცემა გაქრა?

ანარქიას და ტერორიზმს საზოგადოებაში არანაირი ლეგიტიმური საფუძველი არ მოეპოვება. რაცარუნდა ცუდი იყოს პირობები, ყველას მოვალეობაა უარყოფით მოვლენებს ხელი არ შეუწყოს. მოკლედ რომ ვთქვათ, არ არსებობს მიზეზი, რის გამოც ანარქიის გამართლება შეიძლება.

ამ ქაოსის დასაძლევად, უპირველეს ყოვლისა ადამიანების სულიერი სიცარიელე უნდა აივსოს, ხოლო ამის შემდეგ ადამიანთა გულებში შემწყნარებლობა, პატივისცემა, ნდობა და სიყვარული უნდა ჩამოყალიბდეს. გარდა ამისა, სოციალურ ცხოვრებაში სამართლიანობის დამკვიდრება უნდა იქნას უზრუნველყოფილი.

ადამიანები, როგორც ისლამი მოგვიწოდებს ერთმანეთის ძმები არიან და მათ შორის სწორედ ძმური თანადგომა და ურთიერთგაგება უნდა სუფევდეს. არადა ანარქია ამ ყველაფერს გამორიცხავს.

რასაც საკუთარი თავისთვის ისურვებთ, იგივე უსურვეთ თქვენს მეზობელს,დას,ძმას, მოგვიწოდებს წმ. შუამავალი და უფრო მეტიც,ამგვარ ქცევას რწმენის საზომად მიიჩნევს. სწორედ ეს არის ის გზა,რითიც ადამიანები ურთიერთსიყვარულს და ერთიანობას მიაღწევენ. სეპარატიზმი და არეულობა კი საზოგადოებას აკნინებს და უბედურება მოაქვს. ანარქია და ტერორი, უზენაესი გამჩენის წინააღმდეგ ომის გამოცხადებად ითვლება, ამგვარი ქმედების ჩამდენთა დასჯა, ისლამის მიერ გატარებული გამაფრთხილებელი ზომებია, რომელებიც ძალადობის, ტერორისა და ანარქიის უპერსპექტივობას უდევს საფუძვლად.



„უეჭველად, რომელნიც იბრძვიან ალლა-ჰისა და მისი შუამავლის წინააღმდეგ და ცდილობენ უკეთურება გაავრცელონ ქვეყ-ნად , ისაა საზღაური, რომ მოკლულნი იქ-ნან ისინი ან ძელზე გაკრულნი, ან ხელ-ფეხი სხვადასხვა მხრით მოკვეთილნი , ან ამ მიწა-წყლიდან გაძევებული . ასეთია დამ-ცირება მათთვის ამქვეყნიური, ხოლო მძიმე სასჯელია საიქიოში.“ (მაიდე 33)

ძალადობისა და ტერორისგან თავისუფა-ლი მსოფლიოს სურვილით...